საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12750/01
09/12/2021

12750-01-2-202112091422

ინდ. მეწარმე ნიკა კილაძეს

მის: საჩხერე, ს. კორბოული

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N20162 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საჩხერის მუნიციპალიტეტში, ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

მიმდინარე წლის 17 ნოემბერს საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ გორისაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიის დათვალიერება/შესწავლა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა დაიწყო 2019 წლიდან. დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია ორსართულიანი კაპიტალური შენობა-ნაგებობა, საოფისე, საოპერატორო, 2 საწვავის ჩამოსასხმელი სვეტი 6 „პისტოლეტით", რომლებიც მილგაყვანილობით უკავშირდება სარეზერვუარო პარკს და 7 მიწისზედა რეზერვუარი (ჯამური მოცულობა არ აღემატება 1000 კუბ.მ.).

ვინაიდან, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა-ექსპლუატაციაზე, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცნობით საპროექტო ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ავტოგასამართი სადგური (ნავთობპროდუქტების საცავი), სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ რეალურ მდგომარეობას და საჭიროებს კორექტირებას.

ამასთანავე, სკრინინგის განცხადებაში მითითებულია რომ „რეზერვუარებზე მიერთებულია 6 გამცემი საწვავ-მარიგებელი სვეტი. ხოლო თითოეული სვეტი მოემსახურება 2 გამცემ „თოფს", რაც არ შეესაბამება ადგილზე არსებულ მდგომარეობას და საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე